პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 12 (18254) შაბათი, 16 იანვარი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

- სოციალისტურ შეჯიბრებას —ახალი გაქანება (პირველი გვ.)
- აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა: ახალი ეტაპი

სასურსათო პროგრამის განხორციელების რთულ საქმეში წარმატების მოსაპოვებლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების მუშაკთა მეცადინეობის გაერთიანებას, აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის დახვეწას, მთელი კომპლექსის მართვის გაუმჯობესებას. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჯ. პატიაშვილის წერილი, რომელიც გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდზეა დაბეჭდილი.

- საერთაშორისო ცხოვრება — ფაქტები, მოვლენები, კომენტარი (მესამე გვ.).
- მხატვრის გამოფენაზე. ინფორმაცია — 82 (მეოთხე გვ.).

კომუნისტი, დრო, მოვალეობა

ყოველდღიურად ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, სოფლებიდან და ქალაქებიდან დაუსრულებელ ნაკადად მოდის ცნობები, თუ როგორ შენდება, როგორ ახლდება ფაბრიკები და ქარხნები, როგორ მიიწევს ზემოთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კარკასები, როგორ ამოაქვთ მიწისქვეშეთიდან ქვანახშირი, გაჰყავთ გვირაბები, ჯებირებით ამაგრებენ მდინარეებს, გაზაფხულისათვის ტექნიკას ამზადებენ მექანიზატორები, პირუტყვს უვლიან ფერმის მუშაკები...

კომუნისტები კი ამ დიდი, მჩქეფარე ცხოვრების არა მარტო თანაზიარნი არიან, არამედ ჭეშმარიტი მოთავენი და ინიციატორებიც. სხვაგვარადაც ხომ არც შეიძლება იყოს! სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ ინიციატივიანი და აქტიური გარჯა-საქმიანობა მათი საწესდებო მოვალეობაა.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მოწინავე მუშებსა და გლეხებს პარტიაში შესვლას რომ მოუწოდებდა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა: „ჩვენ არ ვპირდებით რაიმე სარგებელს, ჩვენ მოგიხმობთ ძნელი საქმისათვის, სახელმწიფო მშენებლობის საქმისათვის". გავიდა ათწლეულები, გაიზარდა კომუნისტური მშენებლობის მასშტაბი, მაგრამ კომუნისტთა ცხოვრების წესი უცვლელია — იყონ მუდამ წინ, მუდამ იჩენდნენ საქმისათვის განსაკუთრებულ სიყვარულსა და თავდადებას.

მეთერთმეტე ხუთწლედი უშურველად ახელებს თავის ახალ გმირებს. ისინი მხარში უდგანან რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც სახელგანთქმულ კომუნისტებს — გიორგი კურტანიძესა და ბორის ვაშაკიძეს, აიდა გუბაზსა და უშანგი ივანიაშვილს, თამარ თარაევასა და ვლადიმერ დოლიძეს, სხვა მრავალ საქვეყნო საქმისათვის გულშემატკივარ, თავდადებულ ადამიანს.

მართლაც, რაოდენი გულშემატკივრობა, საერთო საქმისათვის რაოდენი წუხილი ჩანს ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის თამარ ყუფუნიას წერილში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში. იგი ჭეშმარიტი კომუნისტია და ვერ ისვენებს, როცა ხედავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ წამყვან დარგში — მეჩაიეობაში ბევრი რეზერვია გამოუყენებელი, რომ ზოგან ჩაის ხარისხის საზიანოდ მოქმედებენ. „ნარაზენის ჩაის ფაბრიკაში ვიყავი ერთხელ, — წერს ამაგდარი კომუნისტი ქალი, — რა ნახა ჩემმა თვალებმა. გული დამეწვა, ჩაის ნედლეული ვნახე ხელის აპარატით მოკრეფილი. მოკრეფილიო, იტყვის კაცი, თორემ ნახხლავი იყო სწორედ, საკმაოდ მკაცრად განახხლავი. სავსე იყო გვიმრითა და სხვა ხარევლით. წონასწორობა დავკარგე ამ ხნის ქალმა, კინაღამ წავიქეცი..."

ამ წერილს დღეს ბევრი გულწრფელი გამოხმაურება მოსდევს.

ჩვენ მივეჩვიეთ კომუნისტის ისეთ პოზიციას, როცა იგი საკუთარი სურვილით გადადის გაცილებით რთულ და ძნელ სამუშაო უბანზე, სწორედ იქ, სადაც საქმეს უფრო მოსიყვარულე გული და გამრჯე ხელი სჭირდება. ასე მოიქცა „თბილისგვირაბმშენის" კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ალექსანდრე დათაშვილი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ისევ დაბრუნდა მშობლიურ საწარმოში რთული და მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის — რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მშენებლობიდან, აქ იგი სკკპ XXVI ყრილობის გახსნის წინა დღეებში წავიდა. ასეთი მაგალითები ბევრია.

კომუნისტის პირადი მაგალითი — ეს უწინარესად ქცევის, მოქმედების მაგალითია. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რაც განასხვავებს მას უპარტიო მოწინავისაგან: პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, დღევანდელი დღის ჰორიზონტს იქით ხედვის სურვილი და უნარი.

ჩვენი პარტიის ჯარისკაცის მეწინავეობა, მისი ნოვატორული ბუნება ბევრი რამით ვლინდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის კეთილი წამოწყებანი, სახარგებლო თაოსნობანი, რომლებიც ხალისიანი ნაკადულებივით მოედინება შრომითი კოლექტივებიდან და უერთდება საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების დიდ მდინარეს.

დიახ, არა მარტო პირადი, არამედ მთელი კოლექტივის, ქალაქისა თუ რაიონის, მთელი რესპუბლიკის, ქვეყნის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებით ღრმად დაინტერესება უკარნახებს კომუნისტს იტვირთოს საქმენი უფრო საშენელონი.

დღეს, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოს შრომით კოლექტივებში ხალისით აიტაცეს პატრიოტული ინიციატივა დევიზით — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური შრომის კვირა". სწორედ ეს შეჯიბრება, რომელსაც ყოველდღიურად ერთვის კომუნისტთა, მოწინავე მშრომელთა სახარგებლო წამოწყებანი, განსაზღვრავს ამჟამად ჩვენი გარჯის, ჩვენი მოქმედების ხასიათსა და რიტმს.

ბუნებრივია, მაღალიდეური, ინიციატივიანი და პრინციპული კომუნისტი აქტიურად მოქმედ, მომთხოვნ პარტიულ კოლექტივში ყალიბდება და იწრთობა. სწორედ იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაცია ზუსტად ასრულებს სკკპ წესდების მოთხოვნებს, სადაც კრებებსა და სხვა სხდომებზე გაისმის სამართლიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველთვის ყურად იღებენ თითოეული ამხანაგის აზრს, შენიშვნასა და წინადადებას, არ იშურებენ ენერგიას და დროს მიღებულ გადაწყვეტილებათა სავალდებულო შესრულებისათვის, ხელსაყრელი ნიადაგი ექმნება კომუნისტების აქტიურობას, მათი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. ეს ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურა პარტიულ ორგანიზაციებში ამას წინათ გამართულმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა. თვითონ განსაჯეთ: პირველადს პარტორგანიზაციებში სიტყვა წარმოთქვა კრებების მონაწილეთა 40 პროცენტზე მეტმა, ხოლო პარტიულ ჯგუფებში — 78,8 პროცენტმა. გამოითქვა ათახობით საყურადღებო წინადადება, და მისასალმებელია, რომ მათგან უმეტესობა უკვე განხორციელდა. ეს აქტიურობის ამაღლების შესანიშნავი პირობაა, რასაც სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ პარტიული კომიტეტები ამ უკანასკნელ წლებში.

„ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პირველადს პარტორგანიზაციათა მებრძოლურობას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე. — იმაზე, თუ როგორ მუშაობენ კომუნისტები, ბევრად არის დამოკიდებული ვითარება, განწყობილება შრომით კოლექტივებში, მაშასადამე, საწარმოო მაჩვენებლებიც".

აი რატომ არის გადაუდებლად საჭირო და აუცილებელი, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ღრმად ჩასწვდნენ პირველადი პარტორგანიზაციების, მისი წევრების ცხოვრებას, პრაქტიკულად დაეხმარონ მათ სრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები, დამაჯერებლად უჩვენონ, თუ დღევანდელ ეტაპზე რას მიაპყრონ ყურადღება, საით მიმართონ მთავარი ძალები.

ამ მხრივ საზრიანი და მიზანმიმართული მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელექტროაპარატის", გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ქუთაისის ავტოქარხნის პარტიულ ორგანიზაციებს. მისასალმებელია, რომ უკანასკნელ ხანს შინაარსიანი და ნაყოფიერი მუშაობის უნარი გამოავლინეს ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათსაშენებელი ქარხნის, გარდაბნის რაიონის ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის და ბევრი სხვა საწარმოს კომუნისტთა კოლექტივებმა.

სამწუხაროდ, ამას ყველა პარტიულ ორგანიზაციასა და იქ მომუშავე კომუნისტებზე ვერ ვიტყვით.

წელიწადი გავიდა, რაც მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ცხოვრების კანონად იქცა. ამიტომაც ყველა — მუშით დაწყებული და მინისტრით დამთავრებული — მოვალეა მოეკიდოს მას როგორც კანონს, როგორც უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დოკუმენტს. მაგრამ სწორედ განვლილი ერთი წელი და მიმდინარე წლის იანვრის პირველი ნახევარი თავისი შედეგებით იმასაც ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს უგერგილო, უინიციატივო, უგულო მუშაობის ფაქტები, რომ ზოგი საწარმო, მეურნეობა, დაწესებულება სერიოზულად ჩამორჩა ან ერთ ადგილს ტკეპნის. შეიმჩნევა იერიშობანა, უყაირათობა, მფლანგველობა, ძალებისა და სახსრების დაქსაქსვა მშენებლობაზე, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების გაჭიანურება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დიდი დანაკარგები, მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა...

ერთი სიტყვით, ყოველივე ეს ხდება კომუნისტების თვალწინ, ზოგი პირველადი პარტიული ორგანიზაციის აშკარა გულგრილობით. სწორედ გულგრილობა, შორიდან მეთვალყურის პოზიცია, საქმეს რომ დიდად აზარალებს, ასეთი ფაქტიდანაც კარგად ჩანს: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მიერ განუხორციელებელმა მარტო ერთმა დნობამ 195 ტონა ფოლადი დააკლო სახელმწიფოს. როცა შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ამ საამქროში შემოწმება მოაწყვეს, 58 მუშა არ აღმოჩნდა ადგილზე, მათგან 38-ს თვითნებურად მიეტოვებინა სამუშაო. რა მტკიცება უნდა, რომ ასეთი შემთხვევები უარყოფითად მოქმედებს სხვა საამქროს მუშაობაზეც, რომელსაც მემარტენეებმა ფოლადი უნდა მიაწოდონ, და არღვევს მთლიანად ამ გიგანტი საწარმოს რიტმულობას.

ან, აბა რა ყაირათიანობა შეიძლება დაიკვეხონ ამავე ქალაქის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კომუნისტებმა, რომელთა წაყრუების გამო უწყალოდ ნადგურდებოდა „პოლიპროპილენის" ნარჩენები. მისი გამოყენებით კი დიდძალი მოგების მიღება შეიძლებოდა.

უკონტროლობა, ნაკლები მომკითხველობა ხშირად დანაშაულის ჩადენის წამქეზებელია. როცა შუახევის კოლმეურნეობაში დიდი ოდენობით თანხების დატაცების ფაქტები გამოვლინდა, მაშინღა იტკიცეს შუბლზე ხელი პარტიის შუახევის რაიკომში: ხომ ადრევე ვიცოდით, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. დარჩაძე უცოდველი რომ არ იყო, სადღა ვაგზავნიდითო.

ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, იშვიათი როდია. ამიტომ ყველგან საჭიროა კარგად ორგანიზებული ოპერატიული კონტროლი, რომელიც ზრდის, ამაღლებს კომუნისტთა პასუხისმგებლობას. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ყოველი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიღმა უნდა დაინახონ კონკრეტული პირები. ხშირად ისეც ხდება, რომ იმათ გვარებს, ვინც გულგრილად ეკიდება საქმეს და უპასუხისმგებლობას იჩენს, მხოლოდ უბრალოდ დაასახელებენ ხოლმე მოხსენებასა თუ სიტყვაში. ეს უმაქნისი პრაქტიკაა. კონკრეტულად უნდა მივუდგეთ, ზუსტად განვსაზღვროთ, როდის არის საჭირო კომუნისტისათვის ამხანაგური რჩევა და დახმარება, და როდის — მკაცრი პარტიული მომკითხველობა.

საამისოდ კარგი ნაცადი ფორმები და მეთოდები გვაქვს. პირველ რიგში, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აგრეთვე კომუნისტთა ანგარიშები საწესდებო მოვალეობათა შესრულების შესახებ, ინდივიდუალური გასაუბრებანი, სხვა მრავალფეროვანი საშუალებანი.

რაც უფრო იზრდება გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბურობა, რაც უფრო მატულობს მუშაობის სირთულე, მით უფრო მაღლდება კომუნისტებისადმი მომთხოვნელობის დონეც. მეტად შთამბეჭდავია ახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვის სტრიქონები: „შრომა საფუძველია სამშობლოს ძლიერებისა და სილამაზისა. სამშობლოს სიყვარული გარჯა-ჯაფით უნდა მოავარაყოთ, თუ მშობელი ხალხის კეთილდღეობა, მისი სულიერი და ინტელექტუალური აღზევება გსურთ". შემოქმედებითი შრომისა და რუდუნების ჭეშმარიტი სიყვარული კი ჩვენმა ახალგაზრდა თაობებმა კვლავაც კომუნისტებისაგან უნდა ისწავლონ, მათ უნდა მიბაძონ ყველგან და ყველაფერში!

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება

15 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ადმინისტრაციულ ორგანოთა და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

პარტიული აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ი. გლადიშევი.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა იმსჯელეს მართლწესრიგის განმტკიცებისათვის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შედეგებსა და ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებიდან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ პროკურორი ა. მ. ბარაბაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. შ. ენდელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი დ. ნ. ქვალიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. გ. პარასტაევი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. შადური, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. დ. რუხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ჟ. კ. შარტავა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ფოფხაძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. შ. ციციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ს. მ. ჯორბენაძე, ახალქალაქის რაიონის პროკურორი ი. ო. აბრამიანი.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი.

პარტიული აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

(საქინფორმი).

საქმემ გამოარჩინა

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი" ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა დედაქალაქში. მისი კოლექტივი მუდამ გამოირჩევა საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობითა და უჩვეულო შრომის უნარით. ამიტომაც არის, რომ ეს გაერთიანება ყოველწლიურად სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. გაერთიანებაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური შრომის კვირა", რომელიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის მოწინავე საწარმოების მთელმა რიგმა კოლექტივებმა გამოიჩინეს. საიუბილეო წელს თავდადებით შრომობენ აქ და წარმატებასაც აღწევენ. გაერთიანების კოლექტივმა უკვე მილიონ 400 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა ახალი პროდუქციის წარმოებას, აქ მალე დაიწყებენ ახალი ტიპის გამანაწილებელი პანელების, ავტომატ 20-44-ისა და ფართო მოხმარების საგნის ელექტროსალესის სერიულ წარმოებას. გაერთიანებაში დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკური სიახლის დანერგვას, უახლოეს ხანში საწარმოში მწყობრში ჩადგება მთელი რიგი ახალი ავტომატიზებულ-მექანიზირებული ხაზები, რის შედეგად გაერთიანებას მილიონ 200 ათასი მანეთი დაეზოგება.

საწარმოში ბევრი მოწინავე მშრომელია. მათ შორის არის მოწინავე ამწყობი ზეინკალი ნ. ტორონჯაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 140 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ნ. ტორონჯაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მიფრინავს „კოსმოს-1333"

1982 წლის 14 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1333".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ყოველი დღე—დამკვრელური!

გეგმა—ვადამდე

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" კოლექტივის 1982 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების შესრულებაში თავიანთი წვლილის შეტანის მიზნით თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი 1982 წლისათვის:

—1982 წლის 29 დეკემბრისათვის დაამთავრონ მთლიანი პროდუქციის გამოშვების მოცულობის წლიური გეგმის შესრულება, გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ და გაანაღდონ 400 ათასი მანეთის პროდუქცია;

— გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ 220 ათასი მაგნიტური ამამუშავებელი, 500 ათასი მაგნიტური სადგური, 226 ათასი ერთეული სინათლის სასიგნალო არმატურა;

— უზრუნველყონ 5.600 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება;

— ნაწარმის ტექნიკური დონის, ხანგამძლეობისა და საიმედოობის ამაღლების გზით 35,3 პროცენტამდე გაზარდონ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი.

— საწარმოთა დამატებითი ტექნიკური განახლების, საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად 1 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის დადგენილი დავალება. წარმოების მოცულობის მთელი მატება უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით;

— მიიღონ 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

— რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიაღწიონ 320 ათას მანეთ პირობითი წლიურ ეკონომიას, გეგმით გათვალისწინებული 300 ათასი მანეთის ნაცვლად;

— ყაირათიანობისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, პროდუქციის მასალატევადობის, მძლავრებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმების შემცირების დამატებითი ღონისძიებების განხორციელების გზით დაზოგონ 460,5 ტონა შავი ლითონი, 38,2 ტონა ფერადი ლითონების ნაგლინი, 160 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

გადაწყდა, განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება კურსკის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატთან", შუა აზიის „ელექტროაპარატისა" და სომხეთის ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანებებთან.

ვალდებულებები იკისრეს გაერთიანება „ელექტროაპარატის" კოლექტივების საერთო კრებებზე.

ეფექტიანობისა და ხარისხისათვის

გაერთიანება „საქართველოს ჩაის" კოლექტივის 1982 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩაზმულმა ჩაის მრეწველობის საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დარგის მშრომელებმა გადაწყვიტეს:

— წარმოების ინტენსიფიკაციის, ტექნოლოგიის სრულყოფის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზით მიმდინარე წლის გეგმა შეასრულონ 22 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გაანაღდონ 3 მილიონი მანეთის პროდუქცია;

— გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 1200 ტონა პირველადი გადამუშავების ბაიხაო ჩაი და 100 ტონა დაფასოებული ჩაი. მოაგვარონ ჩაის ახალ სახეობათა კონცენტრატების ტექნოლოგია და გამოშვება, მატონიზებელი სასმელის „ბახმაროს" ჩამოსხმა მოსკოვში, აგრეთვე განახორციელონ მექანიზებული ჩამოსხმა, ამასთან 10-ჯერ გაადიდონ მისი გამოშვება.

— საექსპლოატაციოდ გადასცენ 40 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი დამატებითი სიმძლავრენი.

გადაწყდა, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დაიზოგოს 1975 ტონა პირობითი სათბობი, 820 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. წარმოებაში გამოიყენონ 670 ტონა მეორეული რესურსები, 800 ათასი მანეთით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მიიღონ 600 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

გათვალისწინებულია 1981 წლის დონესთან შედარებით 2 პროცენტით გადიდდეს უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის ხვედრითი წილი მის საერთო წარმოებაში.

ყველა საწარმოო გაერთიანებაში ინერგება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა.

იკისრეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, წარმოებაში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად სახსრების დაზოგვის ვალდებულებანი.

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის შრომითმა კოლექტივებმა მიმართეს კვების პროდუქტების მწარმოებელ ყველა კოლექტივს ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXVI ყრილობაზე მიღებული სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

სოციალისტური ვალდებულებანი განიხილეს და მიიღეს გაერთიანება „საქართველოს ჩაის" შრომითი კოლექტივების კრებებზე. (საქინფორმი).

ჯილდოები პროპაგანდისტებს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის პროპაგანდის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის პროპაგანდისტთა საპატიო ლენინური სიგელითა და სამაგიდო მედლით დაჯილდოების შესახებ.

ლენინური საპატიო სიგელითა და სამაგიდო მედლით ჯილდოვდებიან ის პროპაგანდისტები და კონსულტანტები, პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაკები, რომლებიც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან სულ ცოტა 10 წელი და პარტიული სწავლების მაღალ ხარისხსა და შედეგიანობას აღწევენ, წარმატებით უწყობენ ხელს მსმენელთა კომუნისტური იდეურობის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებას.

დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები (საოლქო დაყოფის გარეშე), პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტები.

ციტრუსების დასაცავად

მზიანი, დარიანი დღეების შემდეგ აფხაზეთის ცალკეულ კუთხეებში მოულოდნელად დათოვდა. ციტრუსის პლანტაციების დაცვის რესპუბლიკურ შტაბს სიცივემ მაშინვე მოუმატა საზრუნავი. მართალია, სანაპიროზე ჯერ არ ყინავს, მაგრამ თოვამ, რომელიც გალის რაიონის სუბტროპიკულ მეურნეობებს დაატყდა თავს, აქ შეშფოთება გამოიწვია. ამ რეგიონში დიდი ხანია არ ყოფილა ასეთი დიდთოვლობა. ერთ ღამეში თეთრად გადაიპენტა მინდვრები და პლანტაციები, თოვლით დაიფარა ყველა გზა.

სიგნალით „ყურადღება, თოვს" ამოქმედდა თოვლისაგან მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ბაღების დაცვის ყველა საშუალება. რაიონის ყველა მეურნეობაში წინასწარ შექმნილი სპეციალური ბრიგადები და რგოლები გავიდნენ პლანტაციებში. მარტო მზიურის, კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობაში", რომელთა მანდარინის პლანტაციებს აფხაზეთში ოქროს საუნჯეობებს უწოდებენ, თოვლის გაწმენდაზე ყოველდღიურად მუშაობს 2500-ზე მეტი კაცი. ისინი საგულდაგულოდ ფერთხავენ თოვლს სიმძიმისაგან დახრილი ტოტებიდან, საღამოს პლანტაციების ირგვლივ ანთებენ კოცონებს. ამისათვის რაიონის მეურნეობებში დიდი რაოდენობით დაამზადეს და ადგილებზე მიიტანეს ძველი ავტოსაბურავები, ნახერხი. ტემპერატურის შემდგომი დაცემის შემთხვევაში მათ რეზერვშიც აქვთ საკვამლე კოჭები, რომლებიც პლანტაციების მწკრივთაშორისებში განლაგებულია ჭადრაკული წესით.

და ასევე ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ყველგან, სადაც მოჰყავთ სუბტროპიკული კულტურები. ზამთრისაგან ციტრუსების დაცვა აფხაზეთში საიმედო ხელშია: ამ დღეებში 20 ათასამდე მიწათმოქმედი, რომელთა შორის უმრავლესობა გამოცდილი მეციტრუსეა, მზად არის ყინვებს დაუპირისპიროს ოსტატობა და სიმტკიცე.

ასეთ დროს მეციტრუსეებს ძალიან გამოადგათ ყინვისაგან ლიმონის დასაცავი პოლიეთილენის აფსკი, რომელიც შემუშავებულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში. გარდა ამისა, გულრიფშის, გაგრისა და კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ იყენებენ ლიმონის პლანტაციების ხელოვნური გათბობის დანადგარებს. აფხაზეთის მეურნეობებში ლიმონის ყველა ნარგავს სიცივისაგან იცავს სხვადასხვა თბოდამცავი მასალა. (საქინფორმი)

განვახორციელოთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი!

ახლა, როცა თვალს ვავლებთ განვლილი წლის მუშაობის შედეგებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა ნაღვაწისათვის სიამაყითა და დიდ სამერმისო გეგმებზე ფიქრით გააცილეს შარშანდელი — წარმატებების წელი; უამინდობასთან მხნე და შეუპოვარმა ბრძოლამ მათ გამარჯვება მოუტანა.

შარშანდელმა ბარაქიანმა წელიწადმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ალმავლობის ხანა უდგას ქართულ სოფელს. მისი გლეხკაცის სახელ-დიდება მთელ ქვეყანას მოედო. მთელმა ქვეყანამ მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ტრიბუნიდან ჩვენი სახელოვანი მეჩაიეებისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის გარჯის დიდი შეფასება.

რესპუბლიკის ყველა მშრომელის გული სიხარულითა და სიამაყით ალავსო, უფრო მაღალი მიჯნების მიღწევის სტიმული მისცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადმა მოლოცვამ.

ბოლო წლებში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ შარშან სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებამ მეათე ხუთწლედის შესაბამის საშუალო წლიურ მაჩვენებელს 12,2 პროცენტით გადააჭარბა. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი უდევთ მეჩაიეებს, მევენახეებს, მებოსტნეებს, მეციტრუსეებს, მეცხოველეებს...

რეკორდულ მიჯნას მიაღწიეს მეჩაიეებმა, რომლებსაც წლის დასაწყისში მეტისმეტი სიძნელეები შეუქმნა ჩაის ბუჩქის ვეგეტაციის თითქმის თვე-ნახევრით დაგვიანებამ. მიუხედავად ბუნების ჭირვეულობისა, ჩაის პლანტაციის ოსტატებმა ტრადიციას არ უღალატეს და გამარჯვება პირველებმა იზეიმეს — სახელმწიფოს ჩააბარეს 525 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

მძიმე საჭირნახულო ლაშქრობაში თავი ისახელეს მევენახეებმაც. მათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს დარგის განვითარების გზაზე, ერთხელ ...

წლითიწლობით მაღლდება რესპუბლიკის, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მიმწოდებლის, როლი საერთო-საკავშირო დანაწილებაში, მაგრამ ეს როლი კიდევ უფრო გაიზრდება და ჩვენი ხალხის კეთილდღეობაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების რეალიზაციის წყალობით. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული ამ ისტორიული დადგენილების ხორცშესხმით ჩვენი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1985 წლისათვის 3 მილიარდ მანეთამდე გაიზრდება, რაც 1978 წლის შესაბამის მაჩვენებელს მილიარდით აღემატება. ასეთი დიდი ეკონომიკური ეფექტის მოცემა შეუძლია ჩვენებურ დალოცვილ მიწაზე ძვირფასი კულტურების მოყვანის გაფართოებას, რასაც თავის დროზე მხურვალედ უჭერდა მხარს ილია ჭავჭავაძე.

„სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, წერდა დიდი ილია, საცა ბამბა ხარობს. საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და საამთიაქო მცენარეებისა, იქ მიწის და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორიც მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა. პურს თუ უწინ, როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია".

და მაინც, წარმატებულ მუშაობაზე ლაპარაკის დროს არ გვავიწყდება, რომ ჯერ კიდევ სრულად არ კმაყოფილდება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის ზოგიერთ პროდუქტზე, მოთხოვნილებამ განსაკუთრებით გაუსწრო ხორცის წარმოებას. მაგრამ ეს შეუსაბამობა ახლანდელ პირობებში, როცა თავი იჩინა სიძნელეებმა სურსათით მოსახლეობის მომარაგებაში, კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ 7 წლის წინათ თავის XVIII პლენუმზე, ზოგიერთებისთვის მოულოდნელად, ...

მიწას ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა: ახალი ეტაპი

ჯ. პატიაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

... ნისძიებების დროულად და ხარისხიანად განხორციელებას.

ბოლო უნდა მოეღოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესლბრუნვების უგულებელყოფას, ფინანსური და შრომითი რესურსების უყაირათო ხარჯვას; განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს შრომის ნაყოფიერების გადიდება ...

... ურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად დაექვემდებარა მათი დამხმარე სხვა უწყებების საწარმოები.

აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებამ ერთმანეთს შეუხამა მართვის ადმინისტრაციული და ეკონომი- ...

ეს ფაქტები იმას მოწმობს, რომ უწყებრივი დაქსაქსულობის გამო ზოგი ხელს ითბობს და ზოგიც დაუმსახურებლად ზარალობს. ამის დასტურია ის, რომ სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმო-ორგანიზაციების უმრავლესობა დიდრენტაბელურია, ...

... ფონდები. ამ ფონდების მოცულობის გადიდებას ხელს უწყობს ისიც, რომ რაიონში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ახალი პროდუქციის გამოშვების ზრდას. აქ შეიქმნა ახალი ქვედარგი, რომელიც უშვებს შაქრიან და ლიმონიან ჩაის თხევად კონცენტრატს, პოპულარულ სასმელ „ბახმაროს". გაერთიანებამ საქმით დაამტკიცა, რომ მას ...

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

უხეში ჩარევის ცდა

ნატოს საბჭოს ბრიუსელის სესიის შედეგები მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს ბლოკში მისი მოკავშირეები განაგრძობენ სუვერენული სახელმწიფოს — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის, საერთაშორისო ვითარების გამწვავების ცდებს. ახეთია სოციალისტური ქვეყნების პრესაში ჩრდილოეთ ატლანტიკური კავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სარედაქციო სტატიებისა და კომენტარების ლაიტმოტივი. მათში აღნიშნულია: „საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები მხარს უჭერენ ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების განგრძობასა და მშვიდობის განმტკიცებას“.

ვარშავა. ახლა, როცა პოლონეთში ვითარება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება, როცა ადამიანებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, დაიწყო შრომითი საწარმოო რიტმის მოწესრიგება, ...

... და კონტრრევოლუციურმა ძალებმა თავს დაატეხეს პოლონელ ხალხს, აღნიშნულია ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს კომენტარებში. ასეთი მოქმედება და ბრიუსელის თათბირის განცხადების ...

... ლონეთის საშინაო საქმეებში და კვლავ დაჟინებით იყენებს პოლონეთის მოვლენებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის მოსაწამლავად, აღნიშნავს „კუან დოი ნიან ზანი“. სწორედ ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს ძია სემის მათრახს დაუმორჩილოს თავისი ატლანტიკური მოკავშირენი. ბრიუსელის სესიამ კვლავ ცხადყო, რომ ამ აგრესიულ სამხედრო ბლოკს იყენებენ როგორც დასავლეთევროპელებისათვის ოკეანის გაღმელი პარტნიორის მტრი ეროვნული ინტერესებისათვის უცხო ნების თავს მოხვევის მექანიზმს. ვაშინგტონი ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა საერთაშორი- ...

... სელის განცხადებაში, ეს დამაჯერებლობას ვერ შემატებს დასავლეთის პოლიტიკას, რომლის მიზანია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა.

ჰავანა. სამარცხვინო ფარსი, რომელიც ბრიუსელში გაითამაშეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ინიციატივით, ფაქტების უბოდიშო დამახინჯება და უბოდიშო ტონი, რომლითაც შედგენილია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადება, მოწმობს, რომ ვაშინგტონმა აშკარად მიზნად დაისახა კიდევ უფრო მოწამლოს საერთო პოლიტიკური კლიმატი, ...

სოფია. ნატოს განცხადება ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამ აგრესიულ ბლოკში მისი მოკავშირეების მოქმედება მიზნად ისახავს იმ უდიდესი სიძნელეების გაღრმავებასა და გადიდებას, რომლებიც დასავლეთის მიერ წაქეზებულმა ანტისოციალისტურმა ...

● ისრაელი

ულტიმატუმური განცხადება

ბეირუთი. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. შამირმა განაცხადა, იუწყება როიტერის სააგენტო, რომ ბეგინის მთავრობა არაფერს არ დათმობს პალესტინელი არაბებისათვის „ავტონომიის“ მინიჭების საკითხში. ...

... კარო მანტაჟი მიზნად ისახავს იმასაც, რომ კაირო დაითანხმოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის პირობებზე — ანუ ისრაელის მიერ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის ფაქტობრივ ანექსიაზე.

ფოტოფაქტი

კუბა გულისწყრომით გმობენ

შეერთებული შტატები აძლიერებს კუბის, ნიკარაგუის გრენადის მიმართ ზემოქმედებისა და მუქარის კამპანიას. პენტაგონმა შეიმუშავა ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის აუზში კუბის „შეკავების“ გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს დამსჯელ აქციებს ამ ქვეყნების წინააღმდეგ და სალვადორში უშუალო ინტერვენციას.

კუბის პრენსა ლატინას საინფორმაციო სააგენტო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ კუბის „შეკავების“ ღონისძიებები ითვალისწინებს სამხედრო-საზღვაო ბლოკადას იმ ეკონომიკურ ბლოკადასთან ერთად, რომელიც უკვე 20 წელიწადია გრძელდება, რეგიონის სხვა სახელმწიფოების მთავრობებზე ზემოქმედებას, რათა მათ ურთიერთობა გაწყვიტონ კუბასთან, აგრეთვე კუბელ კონტრრევოლუციონერთა დაჯგუფებების წაქეზებას.

ამგვარი მოქმედება კუბელ მშრომელთა გულისწყრომას იწვევს. მთელ ქვეყანაში იმართება მიტინგები და მანიფესტაციები რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მხარდასაჭერად.

სურათზე: მიტინგი ჰავანაში.

პრენსა ლატინა-საქდესის ფოტო.

პაკისტანი:

რეპრესიები სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. პაკისტანის სამხედრო რეჟიმი სულ უფრო მკაცრ რეპრესიებს ახორციელებს სხვაგვარად მოაზროვნეთა და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც გამოთქვამს უკმაყოფილებას ან უბრალოდ არ ეთანხმება სამხედრო ხელისუფალთა განუწყვეტელ ცდებს უმოწყალოდ ჩაახშონ ყოველგვარი პროტესტები მათი რე- ... ჯეს სიკვდილით დასჯა ან სხეულებრივი სასჯელი. მხოლოდ გასული წლის მარტში პოლიტიკური მოტივით პაკისტანში დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩააგდეს სულ ცოტა 6000 კაცი, თუმცა პატიმართა ზუსტი რიცხვი, როგორც სააგენტო აღნიშნავს, არ არის ცნობილი. ... პაკისტანის ხელისუფალთა მონაცემებით, 1981 წლის დამლევისათვის დაახლოებით 1250 კაცი ელოდა სიკვდილით დასჯას.

პაკისტანში, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, სისტემატურად მიმართავენ პოლიტიკურ პატიმართა მხეცურ წამებას. ინგლისის პრესის მასალებში დასა- ... ოქვეყნებულ მასალებს.

ამ მონაცემების თანახმად ახლანდელი რეჟიმის დროს პაკისტანში ათასობით ადამიანი საპყრობილეებში ჩააგდეს თავიანთი რწმენისათვის, ბევრ მათგანს სამხედრო სასამართლოებმა მიუსა- ...

პაკისტანში სამხედრო რეჟიმის დამყარების შემდეგ, აღნიშნავს სააგენტო, მკვეთრად გაიზარდა სასიკვდილო განაჩენების რიცხვი, რომლებიც გამოაქვთ სამხედრო სასამართლოებს. მარტო ერთ ფენჯაბის პროვინციაში, თვით პა- ... არის სინდის პროვინციის სტუდენტთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ნაზირ აბასი, ამ ფედერაციის აქტივისტი კალუ ბრაჰმანი, ქალაქ რავალპინდის მუნიციპალურ მუშაკთა პროფკავშირის ლიდერი ინაით მასიხი.

თვალთმაქცობა და ორპირობა

ამერიკის პრესა რეიგანის პოლიტიკის შესახებ

ნიუ-იორკი. ამერიკის პრესაც კი იძულებულია აღიაროს რეიგანის ადმინისტრაციის თვალთმაქცობა და ორპირობა, რომელიც, ერთი მხრივ, ვითომდა იცავს პოლონეთის პროფგაერთიანება „სოლიდარობის“ წევრი ექსტრემისტების „უფლებებისათვის“, მეორე მხრივ კი, მხარს უჭერს მსოფლიოში ყველაზე რეპრესიულ რეჟიმებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ერთობ თავისებურად ესმის ისეთი ცნება, როგორიც არის „თავისუფლებისათვის მებრძოლი“, წერს ...

... ცა ს. ბიკო, ისევე როგორც ბევრი მისი ამხანაგი ტანჯვა-წამებით მოკლეს აპარტეიდის რეჟიმის დილეგებში. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალური პირნი რატომღაც სრულიად გულგრილად ეკიდებიან იმას, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თეთრკანიან უმ- ... რომ პატივი ეცა იმ პატრიოტთა ხსოვნისათვის, რომლებიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმს ან სალვადორის ხუნტის სისხლიან ტერორს ემსხვერპლნენ.

სხვა არა იყოს რა უცნაურად გამოიყურება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცი- ... ს. ბიკო, სამხრეთ აფრიკის საიდუმლო პოლიციამ მოკლა დილეგებში. დღემდე არ არის ცნობილი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრესის მუშაკთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის ზ. სისულუსა და აპარტეიდის ულმობელი რეჟიმის წინააღმდეგ სხვა მებრძოლთა ბედი. მაგრამ, ...

მომჭირნედ, ყაირათიანად

• •

გვახსოვდეს: ბუნებრივ რესურსებს გაფრთხილება უნდა

... რის მიწის ფონდი 2227,5 მილიონი ჰექტარია და შეადგენს ყველაზე მეტს მსოფლიოში. სსრ კავშირის მთელი ტერიტორიის 10 პროცენტი ჭაობებს უკავია, ანუ 200 მილიონი ჰექტარი ჭაობის, ეს ფართობით 2-ჯერ მეტია საფრანგეთზე. ამჟამად საბჭოთა კავშირში ერთ სულზე 0,9 ჰექტარი სახნავი მიწა მოდის მაშინ, როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი 7-ჯერ ნაკლებია და 0,13 ჰექტარს არ აღემატება.

მიწის ფართობის ამ მოკლე ...

... ხოლო ნარჩენებისაგან გაიზრდება მერქან-ბურბუშელის, მერქანბოჭკოს ფილების წარმოება 60-85, ცელულოზისა — 35, ავეჯისა 45-50 პროცენტით.

ქაღალდი ძვირად ღირებული მასალაა, ტონა საბეჭდი ქაღალდი ღირებულებით 2,5-3-ჯერ აღემატება ტონა თხელფურცლოვან ფოლადს. ტონა მაკულატურიდან მზადდება 750 კილოგრამი ახალი ქაღალდი. მაკულატურა ნედლეულის დიდი წყაროა ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისათვის. აღსანიშნავია, რომ მეცხრე ხუთწლედში საქართველოში დამზადდა 82 ათასი ტონა მაკულატურა, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეზოგა 330 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი, ანუ გაჩეხვას გადაურჩა 1000-ზე მეტი ჰექტარი ტყე. მეათე ხუთწლედში მაკულატურის დამზადების დონე რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ მას მაინც ვერ მივიჩნევთ საკმარისად, რადგან რეზერვები ძალიან ბევრია, საჭიროა მისი მთლიანი გამოვლენა და ...

... ბუნებრივი რესურსების უდიდეს ეკონომიას გვაძლევს ბუნებათსარგებლობისადმი კომპლექსური მიდგომა, რომელიც ამავე დროს უზრუნველყოფს გარემოს დაცვას გაჭუჭყიანებისა და რღვევისაგან.

კომპლექსური გამოყენების მაგალითს წარმოადგენს მურმანსკის ოლქის კოლის ნახევარკუნ- ... ბაღ უნდა იქცეს.

მოდით, ვიყოთ მომჭირნე, ყაირათიანი, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ბუნებას და ბუნებრივ რესურსებს.

ვ. დარახველიძე,
პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ამხ. იოსებ გრიგოლის ძე ხაზარაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის ცხიმკომბინატის დირექტორი ამხ. შოთა პლატონის ძე ქუტიძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო დღეღამის ზურგზე სხოვრება

15 იანვარი

ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს სხდომა

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, არმიის გენერლის ვ. იარუზელსკის თავმჯდომარეობით ვარშავაში გაიმართა ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს სხდომა. მასში მონაწილეობდნენ ქვეყნის სხვადასხვა საწარმოს მუშები — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრები, უპარ- ... ტეები, გემთმშენებლები, მეტალურგები, ენერგეტიკოსები, რკინიგზელები, მენავსადგურეები, მელითონეები, ფეიქრები, ქიმიკოსები, კვების მრეწველობისა და სახელმწიფო სასოფლო მეურნეობების მუშაკები.

ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს წევრებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საქმიანობა სამხედრო წესების ვითარებაში. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა მოწვეულმა მუშამ.

... სახელმწიფოს ბედისათვის პატრიოტული პასუხისმგებლობის, პოლონეთში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის დიდი ზრუნვის ნიშნით.

სხდომაზე გამოვიდა ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი.

● სირია

განიხილეს აქტუალური საკითხები

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

დამასკო. აქ მუშაობა დაამთავრა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მიმდინარეობდა პარტიის გენერალური მდივნის, სირიის პრეზიდენტის ჰ. ასადის თავმჯდომარეობით.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს და მოიწონეს ქვეყნის ... რეჟიმის გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების გადიდება სახელმწიფო სექტორის საწარმოებში, ფასების სტაბილიზაცია და სირიელ მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლება.

პლენუმზე გამოსული პრეზიდენტი ჰ. ასადი შეეხო მდგომარეობას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის საკითხში სირიის პრინციპული პოზიციის შედეგად მოხერხდა რეგიონში ვითარების მოწესრიგების სეპარატიული, კაპიტულანტური ვარიანტების ბლოკირება.

დასავლეთის სახელმწიფოები ვარაუდობდნენ, რომ კემპ-დევიდის მოღალატურ შეთანხმებათა ... და იგი ამ მოღალატურ გზას, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს და ვერც მიაღწევენ.

განმარტა რა ტელ-ავივის მიერ გოლანის მაღლობების უკანონო ანექსია, ჰ. ასადმა აღნიშნა, რომ სირიელი ხალხი ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაათავისუფლოს ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიები.

● ინდოეთი

გადაადგილებანი მთავრობაში

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მოახდინა მთელი რიგი გადაადგილებანი მთავრობაში, რომელსაც იგი მეთაურობს. ქვეყნის თავდაცვის მინისტრად დაინიშნა რ. ვენკატარამანი. ფინანსთა მინისტრის პოსტს, რომელიც მას დღემდე ეკავა, დაიკავებს პ. კ. მუკერჯი (ვაჭრობის, ფოლადისა და შახტების ყოფილი მინისტრი). მოხდა აგრეთვე სხვა გადაადგილებანი და დანიშვნები.

• •

ტანიუგის ცნობა

ბელგრადი. ტანიუგის სააგენტომ გადმოსცა ცნობა ალბანეთის ამბების შესახებ, რომელშიც ...

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● რომი

ტერორისტულ ორგანიზაციასთან „წითელ ბრიგადასთან“ დაკავშირებული შვიდი ექსტრემისტი დააპატიმრეს იტალიის სამხრეთ ოლქში — კამპანიაში დიდი ოპერაციის მიმდინარეობის დროს, რომელიც მოაწყვეს პოლიციამ და კარაბინერების კორპუსმა.

ამ დღეებში იტალიის დედაქალაქში დააპატიმრეს „წითელი ბრიგადის“ ტერორისტთა ჯგუფი. ექსტრემისტთა კონსპირაციულ ბინებში აღმოჩენილია „ოპერატიული გეგმები“, რომლებიც ითვალისწინებდნენ ქვეყნის უდიდესი საავტომობილო კონცერნის ფიატის ...

● ბრიუსელი

● ნიქოზია

გამოჩენილი მეცნიერი-მეტალურგი

პროფესორ მიხეილ კეკელიძის დაბადების 70 წლის თავის გამო

თავისი მოღვაწეობის 35 წლის მანძილზე მიხეილ კეკელიძემ როგორც ინჟინერმა, მეცნიერმა და პედაგოგმა ბევრი რამ შემატა სამამულო მეტალურგიული წარმოებისა და მეცნიერული აზრის განვითარებას.

ინჟინერ-მეტალურგად მუშაობა მან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაიწყო 1937 წელს, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ. სამამულო ომის წლებში სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა, 1947 წელს მ. კეკელიძემ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. 1951 წლიდან გარდაცვალებამდე — 1973 წლამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის პირომეტალურგიის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა და წლების მანძილზე დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერო ნაწილში.

1957 წელს მიხეილ კეკელიძე იცავს სადოქტორო დისერტაციას. მალე მას ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შავი ლითონების მეტალურგიის კათედრის პროფესორად ირჩევენ, 1966 წელს კი ენიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება. ამავე წლებში ხელმძღვანელობს მეტალურგთა რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასაც.

მიხეილ კეკელიძე ავტორი გახლდათ 150-მდე მეცნიერული ნაშრომისა და თანაავტორი — რამდენიმე მონოგრაფიისა. მიუხედავად დიდი მოუცლელობისა, იგი ყოველთვის პოულობდა დროს ახალგაზრდა მეცნიერებთან მუშაობისათვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით სადისერტაციო ნაშრომები მოამზადა და დაიცვა 20-ზე მეტმა სპეციალისტმა.

დიდია პროფესორ მიხეილ კეკელიძის დამსახურება შავი მეტალურგიის თეორიისა და პრაქტიკის მრავალი საკითხის შესწავლა-გაშუქებაში. მის მიერ შესრულებულ სამუშაოთაგან აღსანიშნავია ჭიათურის საბადოს მანგანუმის მადნების მეტალურგიული თვალსაზრისით შესწავლა, რასაც მ. კეკელიძემ თავისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მიუძღვნა. კვლევითმა სამუშაოებმა და იმ სამრეწველო ცდებმა, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით მოეწყო 50-იან წლებში უკრაინის მსხვილ მეტალურგიულ ქარხნებში და რომელთა შედეგად სათავე დაედო ჭიათურის საბადოს ღარიბი მადნების წარმოებაში გამოყენებას, შექმნა წანამძღვარი, რომ მნიშვნელოვნად, 42 პროცენტით, გაზრდილიყო ამ უნიკალური საბადოს მადნების სამრეწველო მარაგი და საერთოდ გადიდებულიყო მისი ექსპლოატაციის ვადები.

თავის გამოკვლევებში პროფესორმა მ. კეკელიძემ დიდი ადგილი დაუთმო მეტალურგიული აგრეგატებისათვის საკაზმე მასალების მომზადების საკითხებს. კერძოდ, მრავალი სამუშაო მიუძღვნა მან რკინისა და მანგანუმის მადნების აგლომერაციას, დაგუნდავებასა და დაბრიკეტებას. მიღებული შედეგების საფუძველზე დაპროექტდა მანგანუმის ნედლეულის აგლომერაციისა და დაგუნდავების ფაბრიკები. საგლომერაციო ფაბრიკა უკვე მუშაობს ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

მანგანუმის მეტალურგიაში შესრულებულ კვლევა-ძიებათა საერთო აღიარების შედეგი იყო, რომ ხელმძღვანელ უწყებათა მითითებით მ. კეკელიძეს და მის კოლექტივს დაევალა მანგანუმიანი ფეროშენადნობების ახალი საერთო-საკავშირო სახელმწიფო სტანდარტების შედგენა. სამუშაო მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულდა. წარმოებაში დაინერგა ლითონური მანგანუმის, დაბალ საშუალო და მაღალნახშირბადიანი ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის ორ ათეულამდე ახალი მარკის შენადნობი. ახალმა სახელმწიფო სტანდარტებმა უზრუნველყო მანგანუმის ნედლეულის დიფერენცირებული და სრული გამოყენება, გაზარდეს ფეროშენადნობების მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტი.

მ. კეკელიძის ხელმძღვანელობით შემუშავებულია რამდენიმე ახალი კომპლექსური შენადნობის მიღების თეორიული საფუძვლები და ქარხნული ტექნოლოგია. მეტალურგიული თვალსაზრისით შესწავლილი და გამოკვლეულია დაშქესანის, ძამის, შქმერის, ჩხარ-აჯამეთის რკინისა და მანგანუმის მადნები, შავი ზღვის სანაპიროს ტიტანომაგნიტური ქვიშები, სადახლოს, დარკვეთის, აჯამეთის, მოწამეთის, აბანოს, ჭიშურის, წითელ-წყაროს კირქვები და დოლომიტები. ჩამოთვლილი საბადოს ნედლეულის უმეტესობას ამჟამად იყენებენ მეტალურგიულ მრეწველობასა და სახალხო მეურნეობაში.

პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტასთან ერთად პროფესორი მ. კეკელიძე დიდ ადგილს უთმობდა თეორიულ კვლევასაც, კერძოდ, მეტალურგიული ნედლეულის აღდგენადობის, ელექტროგამტარებლობის თბოფიზიკური თვისებების შესწავლას, მათს მინერალოგიურ, თერმოგრაფიულ და ფაზურ ანალიზს, აგრეთვე ლითონების, შენადნობების, წიდებისა და ფოლადის განჟანგვის პროდუქტების ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების — სიბლანტის, სიმკვრივის, ზედაპირული მოვლენების კვლევას.

დიდია პროფესორ მ. კეკელიძის დამსახურება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოების განვითარების საქმეში. ყაზახეთის, ურალის, უკრაინის მეტალურგიული ინსტიტუტებისა და ქარხნების შემოქმედებითს კოლექტივებთან ერთად მთელი სიცოცხლის მანძილზე იღვწოდა იგი წარმოებაში ადგილობრივი ნედლეულის მანგანუმიანი ფეროშენადნობების გამოყენების, მეტალურგიული პროცესების სრულყოფისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნისათვის. მ. კეკელიძის, როგორც დიდი სპეციალისტის აღიარებაა ის, რომ მეთოდიკური დახმარების მიზნით მიიწვიეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესრულდა დიდი სამუშაო, რომელიც მიეძღვნა აბროჩიშჩეს საბადოს მანგანუმის კარბონატული მადნების ყოველმხრივ შესწავლას. კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოების განვითარებას.

პირომეტალურგიის ლაბორატორიაში, რომელსაც მ. კეკელიძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში უძღვებოდა, დაგროვილია დიდძალი მეცნიერული მასალა რკინისა და მანგანუმის მეტალურგიის საკითხებზე. რაც მთავარია, მომზადებულია შესაფერი კადრები მკვლევარებისა, რომლებიც აგრძელებენ იმ ტრადიციებს, საფუძველი გამოჩენილმა მეცნიერმა რომ ჩაუყარა.

მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის კომუნისტ მეცნიერს მ. კეკელიძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან მეცნიერი და ინჟინერი, საზოგადო მოღვაწე და აღმზრდელი, მოქალაქე და მეგობარი მიხეილ კეკელიძე.

ფ. თავაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მხატვრის სამყაროში

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც იოსებ სამსონაძე ქართულ მხატვრობაში მოვიდა. მისი პირველი პერსონალური გამოფენა 1974 წელს მოეწყო თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლის საგამოფენო დარბაზში.

შარშან ოქტომბერში ქართველი მხატვრის ნამუშევრებს ინტერესით ეცნობოდნენ კიევში, უკრაინის არქიტექტორთა სახლის დიდ საგამოფენო დარბაზში. გამოფენამ ნათლად წარმოაჩინა ხელოვანის შემოქმედებითი სამყარო, მისი თავისებური ხედვა, ეროვნული სტილი და კოლორიტი.

პერსონალური გამოფენა მხატვრისაგან დიდ ჯაფას მოითხოვს, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა მართებს მას გამოფენის შემდეგ, როცა უკან რჩება საზეიმო წუთები, ტაში, ყვავილები, და ხელოვანი თავის ნამუშევრებიანად საკუთარ სახელოსნოს უბრუნდება. სწორედ აქ ვნახეთ კიევში გამოფენილი ნამუშევრები, რომლებიც გამოირჩევა უბრალოებით, მკვეთრი ფერადოვანი კონტრასტებით, აზრობრივი დატვირთვით.

თემის ორიგინალური გააზრების ნიმუშია „კვაჭი კვაჭანტირაძე", „მონუმენტი" და „მაღალი კოშკი", რომლებიც მეტყველებს ავტორის შეურიგებელ პოზიციაზე ძალადობის, მაქინაციების, თვითკმაყოფილების, ავანტიურიზმის, განდიდებისა თუ მონური მორჩილების მიმართ.

ამაღლებულ განწყობილებას ქმნის ყალმით დასურათებული შოთა რუსთაველის აფორიზმების ილუსტრაციები. ავტორს მიუგნია ხატოვანი დეკორატიული კაზმულობისათვის, თვით აფორიზმთა შინაარსი კი მაშტაბურად არის წარმოჩენილი სახეებით.

ფერთა შეხამებით იქცევს ყურადღებას ნამუშევრები „პირმშო", „ბაბუა", „ფრესკის ფრაგმენტი", ტუშით შესრულებული „არსაკიძე" და „არსაკიძის სიკვდილი", რომელთაც გადავყავართ შორეულ წარსულში: — სარეცელზე მიჯაჭვული არსაკიძის სახეზე ამქვეყნიური შიშიც იკითხება და უკვდავებასთან წილნაყარი შემოქმედის უძლეველობაც.

— მოულოდნელი და ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ეს გამოფენა ჩვენში, — უთქვამს ლვოველ არქიტექტორს ნ. სოკოლოვს ი. სამსონაძის შემოქმედებაზე და შთაბეჭდილებების წიგნშიც გულთბილ სტრიქონებს წერს.

უკრაინელმა მხატვრებმა, არქიტექტორებმა, პოეტებმა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა ერთხმად აღნიშნეს ნამუშევართა მაღალი პროფესიული დონე და გამოფენას ქართველ და უკრაინელ შემოქმედთა მეგობრობის ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლი უწოდეს.

— ჩვენ გვწამდა, რომ კიევში მხატვარი ქართული მზის ნაწილს ჩამოგვიტანდა, — აღნიშნა ნ. რაგოჟინამ, ამ გამოფენის ერთ-ერთმა თაოსანმა.

— ჩემი დროის ძირითადი ნაწილი მულტფილმებზე მუშაობას მიაქვს. ეს შრომატევადი სამუშაოა და აუცილებელიც. ვფიქრობ, შემდეგი გამოფენა მოვაწყო მოსკოვის კინოს საგამოფენო დარბაზში, — ამბობს ი. სამსონაძე, მულტიპლიკაციური ფილმების დამდგმელი მხატვარი და რეჟისორი.

ორმოცდაათ წელს მიტანებული ხელოვანი შემოქმედებითს გეგმებზე წინდაწინ არაფერს გვეუბნება, გარდა იმისა, რომ გამოთქვამს უფრო ნაყოფიერად მუშაობის სურვილს.

ე. ჯიქია.

„კვაჭის დაბრუნება"

„პირმშო"

ყაზახი ფეხბურთის ამბები

პირველი პირველზე

მოსკოვში დამთავრდა ფიფას პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ბოლო მატჩები ასეთი შედეგებით აღინიშნა: სსრ კავშირი I-გფრ — 3:0, ბრაზილია-ბულგარეთი — 2:0, სსრ კავშირი II-იტალია — 2:1. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა 8 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ბრაზილია, სსრ კავშირი II, გფრ, იტალია და ბულგარეთი.

შენგელია უძლიერესთა შორის

ესპანეთის ჟურნალმა „დონბალონმა" მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა შორის დაასახელა თბილისელი რამაზ შენგელია. „ოქროს ბურთის" პრიზზე ტრადიციული გამოკითხვისას მას მეხუთე ადგილი მიაკუთვნეს. მსოფლიო ფეხბურთის „ვარსკვლავთა" ხუთეულში ჟურნალმა დაასახელა ბრაზილიელი ზიკო, დასავლეთ გერმანელი კარლ-ჰაინც რუმენიგე, შოტლანდიელი ჯონ უარკი და არგენტინელი დიეგო მარადონა.

ყურადღების ცენტრში

ესპანეთის სააგენტო ეფე მაღალ შეფასებას აძლევს აქ ქვეყანაში სავარჯიშოდ ჩასულ საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრებს. სააგენტო აცხადებს, რომ „მსოფლიო პირველობის მოპოვების უსერიოზულესი პრეტენდენტია სსრ კავშირის ნაკრები. ისეთი მოთამაშენი, როგორიც არიან ბლოხინი, შენგელია, ყიფიანი და ჩივაძე — ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე დაამშვენებდნენ ევროპის ნებისმიერ გუნდს". გარდა ამისა, სააგენტოს მასალაში ნათქვამია, რომ „საბჭოთა გუნდს შეუძლია ლათინური ამერიკის ფეხბურთელთა ყაიდით თამაშიც და მოედანზე მკვეთრად მოქმედებაც".

გამარჯვება ამხანაგურ მატჩში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მეორე ამხანაგურ შეხვედრაში ანგარიშით 5:1 დაამარცხა სამხრეთ ესპანეთის ქალაქ ლინეის ადგილობრივი კლუბი.

სსრ კავშირის ნაკრებიდან გოლები გაიტანეს შენგელიამ, ანდრეევმა (ორ-ორი) და გავრილოვმა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა პენალტით გაიტანეს ერთი გოლი. ესპანეთის ეფეს სააგენტო აღნიშნავს საბჭოთა ფეხბურთელების სისწრაფესა და ტექნიკას.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, სულაკვარიძე, ბოროვსკი, ბესონოვი, დემიანენკო, დარასელია, შენგელია, სულაქველიძე, გავრილოვი, ბურიაკი, ბლოხინი.

მოკლედ

ჩოგბურთი. მოსკოვში გაიმართა სამეფო თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული მატჩი სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:0.

ველოსპორტი. ვენესუელის გზებზე მიმდინარე მრავალდღიანი ველორბოლის ექვსი ეტაპის შემდეგ ლიდერობს მასპინძელი ხორხე ოროსკო. მეორე ადგილზეა კუიბიშეველი რამაზან გალიალეტდინოვი, მესამეზე — ვენესუელელი ნერიო მორალესი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ინფორმაცია-82

ძეგლი ენისა სწორია

დასაცავად და აღსადგენად

1982 წლის ლატარიის დამატებითი ტირაჟების გათამაშება მოხმარდება ძეგლთა აღდგენას

ისტორიული ძეგლები ქვეყნის კულტურის საგანძურში შედის და მათი დაცვა თითოეული ჩვენგანის ვალია. საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლები, როდესაც მიღებულ იქნა საორგანიზაციო და საკანონმდებლო ხასიათის მნიშვნელოვანი დადგენილებები ჩვენი ისტორიული ძეგლების დასაცავად და აღსადგენად.

1979 წლიდან საქართველოს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ლატარიის ორი გათამაშება, თითოეული მილიონ 200 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მიღებული მოგება — 400 ათასი მანეთი მთლიანად ხმარდება მატერიალური და კულტურული ძეგლების რესტავრაციას.

1980 წელს ამ თანხებით რესტავრირებულ იქნა ქვათახევის ტაძარი, კაწრეთის სამება, იდლეთის ეკლესია, უფლისციხე, დავით გარეჯა, ახალი შუამთა.

1981 წელს შეკეთდა კუმურდო (ახალციხის რაიონში), გერგეთის სამება (ყაზბეგის რაიონში), ზედაზნის ანსამბლი (მცხეთის რაიონში), იკორთა (ცხინვალის რაიონში).

1982 წელს 25 აპრილსა და 25 ოქტომბერს ლატარიის ორი დამატებითი ტირაჟის გათამაშებათა მოგება მოხმარდება იმ ძეგლების რესტავრაციას, რომელთა შეკეთება 1981 წელს დაიწყო. ესენია: საფარა, ზარზმა, ნინოწმინდა, გუდარეხი, ტბისი, მწვანე მონასტერი. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სიას დაემატება კიდევ რამდენიმე ძეგლის რესტავრაცია. მოგების ნაწილი მოხმარდება აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზის არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებას.

მ. მახარაძე,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

კოსტა ხეთაგუროვის პრემიის ლაურეატები

ცხინვალი. (საქ. კორ.). პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით, 1981 წლის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემია მიენიჭა პოეტ გაფეზს (თევდორე გაგლოევს) წიგნისათვის „მშობლიური მიწის სუნთქვა" და ბოლო წლებში ჟურნალ „ფიდიუამის" ფურცლებზე დაბეჭდილი ლექსებისათვის. ეს ჯილდო მიეკუთვნა აგრეთვე საქართველოს სსრ მხატვარს გრიგოლ კოტაევს ბოლო წლებში შექმნილი ფერწერული ნამუშევრებისათვის „ომის ექო", „პარტიის ვეტერანები", „კოსმოსის დაპყრობა" და სხვ.

გალერეას შეემატა

ცაგერი. (საქ. კორ.) სურათების გალერეას ახალი საინტერესო ექსპონატები შეემატა. ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა თავიანთი ნამუშევრები უსასყიდლოდ გადასცეს ლეჩხუმელ მშრომელებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მხატვარ დ. თევზაძის ნამუშევარი „მოხუცის პორტრეტი", დამთვალიერებლებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს რ. ადამიას „ქალის პორტრეტი", თ. ქართველიშვილის „იმერეთი", ნ. კიკნაძის „ნატურმორტი"...

გამოფენის ექსპონატები მრავალ დამთვალიერებელს იზიდავს.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

18 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00— „ვრემია" (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიქრი ოჯახზე", 10.00 — „მოამბე", 10.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდა მხატვრები", 11.00 — კონცერტი, 11.30 — ლიტერატურული გადაცემა „საახალწლო მოზაიკა", 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი, 13.30 — ქართული მხატვრული ფილმი „როცა დედები შინ არ არიან", 17.00 — უმცროსკლასელთათვის — „ვიწყებთ ლაპარაკს რუსულად", 17.30 — „თქვენთვის პატარებო!" მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — უფროსკლასელთათვის — „ცვლა", 18.20 — გადაცემა „კვლავ მწყობრში", 18.40 ...

მეორე პროგრამით: 17.05 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში, სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ლურჯი ქალაქი", 17.55 — მასწავლებლის საათი — ალგებ...

... ჩვიდმეტი გაელვება". VII სერია (მ.), 12.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ინჟინრები", 13.00 — ბიოლოგიის ტელეკურსი, 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლენინურ ადგილებში", 13.50 — ...

23.20 — „ძველებური რუსული რომანსის საღამო" (განმეორებით).

მეორე პროგრამით: 17.05 — მოსწავლეთათვის ... 17.35 — ... ყვა ლენინზე", 17.55 — მასწავლებლის საათი — ქიმია, 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — განცხადებები.

23 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი წყალი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.00 — „პოეზიის ხუთი წუთი", 11.05 — „კინოაფიშა", 11.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება", VIII ...

19 იანვარი

20 იანვარი

21 იანვარი

22 იანვარი

24 იანვარი

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



18 იანვარი

19 იანვარი

20 იანვარი

21 იანვარი

22 იანვარი

23 იანვარი

24 იანვარი

17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „სსრ კავშირის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური კვირა". რეპორ-

„პრავდის" მიმოხილვა (მ.), 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.15 — ა. ჩიმაკაძე. სიმღერები, 11.30 —

19.40 — ვალსები, 20.30 — „მეცნიერება და ტექნიკა". რადიოჟურნალი, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — „საერთაშორისო მდგომარეობა: კითხვები და პასუხები" (მ.), 22.00 — კ. ლორ-

...რონიცკი, 20.56 — დ. შენგელაია „ირმის ნახტომი". რადიოდადგმა. 20.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა", 23.30 — საღამოს მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66431 უე 09013 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. დაბეჭდვა ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშტარიას 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20